# ჰონორარის განაწილების და გადახდის ზოგადი წესი

ჰონორარის განაწილების და გადახდის ზოგადი წესი (შემდგომში - ,,წესი“) განსაზღვრავს ნაწარმოებების და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენებისთვის, ასოციაციის მიერ შეგროვილი უფლებამფლობელებისთვის ჰონორარის განაწილებული თანხების გადახდის უზრუნველყოფის წესს:

- ტექსტიანი ამ უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებების (შემდგომში - მუსიკალური ნაწარმოებები) საჯარო შესრულების ან საჯარო გადაცემის შემთხვევაში;
- კომერციული მიზნით გამოქვეყნებული ფონოგრამების (შემდგომში - ფონოგრამების) საჯარო შესრულების ან საჯარო გადაცემის შემთხვევაში;
- სპექტაკლების და სხვა თეატრალურ-სანახაობრივი წარმოდგენების, ასევე კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების შემადგენლობაში ნაწარმოებების საჯარო შესრულების შემთხვევაში;
- აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემის და სხვაგვარად გამოყენებისას;
- პირადი მიზნებისთვის აუდიოვიზუალური ნაწარმოებების, ფონოგრამებზე ჩაწერილი ნაწარმოებების, ფონოგრამების, ვიდეოგრამების რეპროდუცირებისას.

**1. ჰონორარის განაწილების ზოგადი წესები**

1.1. ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების მქონე ობიექტების გამოყენებისთვის ასოციაცია იღებს, ასოციაციასა და შესაბამის მოსარგებლის ან გადამხდელის შორის გაფორმებული ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების გამოყენების შესახებ ჰონორარს, ხელშეკრულებების საფუძველზე. გადახდილ ჰონორართან მიმართებაში, მოსარგებლეები წარმოადგენენ ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების გამოყენების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ასოციაცია ახდენს შემოსული ჰონორარის განაწილებას იმ უფლებამფლობელების სასარგებლოდ, რომლების ნაწარმოებებიც ან/და მომიჯნავე უფლებების მქონე ობიექტებიც გამოიყენეს, შესაბამისი ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების მქონე ობიექტების გამოყენების მოცულობის პროპორციულად.

1.2. ჰონორარის განაწილება ხდება ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში, ჰონორარის იმ თანხებთან მიმართებაში, რომლებიც ასოციაციაში შემოვიდა წინა კალენდარულ თვეს (განაწილების პერიოდი), თუ წინამდებარე წესებით არ არის დადგენილი სხვა პერიოდი შეგროვილი ჰონორარის ცალკეული კატეგორიებისთვის.

1.3. განაწილების განხორციელებისას, ჰონორარი დაირიცხება ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების მქონე ობიექტების გამოყენებისთვის, ასევე, შესაბამისი ობიექტების იმ უფლებამფლობელებთან მიმართებაში, რომელთა მიმართაც ასოციაციას გააჩნია ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის განხორციელების უფლებამოსილება, განაწილების პერიოდის დამთავრების მომენტში.

1.4. ჰონორარის გამოთვლა და განაწილება ხდება ავტომატიზირებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით, რომელიც ურთიერთკავშირშია ასოციაციის მონაცემთა ბაზასთან.

1.5. მოსარგებლისგან ნაწარმოებ(ებ)ის ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების სანაცვლოდ, ანაზღაურების განაწილების ძირითადი მეთოდია ანაზღაურების თანხის გამოთვლა, რომელიც ერგება გარკვეული ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლების ობიექტის უფლებამფლობელს, მოსარგებლისგან მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლისა და ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლის ჯამურ ღირებულებაზე, განაწილების პროპორციულად.

1.6. ჰონორარის განაწილება მომხმარებლისა და გამოყენების პერიოდის მიხედვით, რომელსაც ახლავს მომხმარებლის ანგარიში გამოყენებული ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებზე (შემდგომში - დამუშავებული ანგარიში), ხორციელდება შემდეგი ალგორითმის დანერგვით:

1.6.1. ობიექტების იდენტიფიკაცია - დასამუშავებელი ანგარიშის შემადგენლობაში ხდება კონკრეტული ნაწარმოებების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების იდენტიფიკაცია, მათი დასახელებების და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების მიხედვით (შემსრულებლების, ავტორების და მისთ. მითითება), ასოციაციის მონაცემთა ბაზის შემადგენლობაში არსებული ნაწარმოებების და მომიჯნავე უფლებების ობიექტების მონაცემებთან შედარების გზით. იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის მონაცემთა ბაზაში არ არის მონაცემები კონკრეტული ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის შესახებ, რომელიც შედის დასამუშავებელ ანგარიშში, ასეთი ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის

საიდენტიფიკაციო მონაცემები (დასახელება, შემსრულებლები და ავტორები და სხვა, არსებობის შემთხვევაში) შედის ასოციაციის მონაცემთა ბაზის შემადგენლობაში და მას ენიჭება ნიშანი „გარე რეპერტუარის ობიექტი“. მოსარგებლის ანგარიშში შეტანილი ყველა სხვა ნაწარმოები ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტი, რომელთა საიდენტიფიკაციო მონაცემები, ემთხვევა ასოციაციის მონაცემთა ბაზის შემადგენლობაში, განიხილება, როგორც საიდენტიფიკაციო ობიექტები;

1.6.2. ნაწარმოებების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც მითითებულია მოსარგებლის ანგარიშში, დაიყვანება საერთო საზომ ერთეულამდე (საზომი ერთეული, შესრულებათა რაოდენობა ან სხვა), განისაზღვრება ყველა ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო ჯამური სიდიდე, რომელიც მითითებულია მოსარგებლის ანგარიშში;

1.6.3. გამოითვლება გასანაწილებელი ჰონორარის ერთეულის ზომა, როგორც ჰონორარის საერთო გასანაწილებელი თანხის და დასამუშავებელ ანგარიშში შეტანილი ყველა ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების რაოდენობა;

1.6.4. გამოითვლება ჰონორარის თანხა, თითოეულ ცალკეულ ნაწარმოებზე ან მომიჯნავე უფლებების ობიექტზე, როგორც გასანაწილებელი ჰონორარის ერთეულის და ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლის ნამრავლი. დასამუშავებელი ანგარიშის შემადგენლობიდან გარე რეპერტუარის ობიექტებისთვის შემდგომი გამოთვლები არ ტარდება - ასეთი ობიექტებიდან თითოეულისთვის გამოითვლება ჰონორარის თანხა;

1.6.5. დასამუშავებელი ანგარიშის შემადგენლობაში შემავალი იდენტიფიცირებული ობიექტებისთვის გამოითვლება ჰონორარის ოდენობა, რომელიც მოდის შესაბამისი ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გარკვეულ უფლებამფლობელზე, როგორც 1.6.4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ჰონორარის ნამრავლი, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენებისთვის.

1.7. წესის 1.6. პუნქტით გათვალისწინებული ალგორითმის რეალიზაციის შედეგად, ხდება ჩამონათვალების ფორმირება:

1.7.1. იდენტიფიცირებული ობიექტების, რომლებისთვისაც მითითებულია მათი გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლები, უფლებამფლობელები, ვისაც დაერიცხა ჰონორარი, მათი შესაბამისი წილი ჰონორარში და თავად ჰონორარის გამოთვლილი თანხები, თითოეული უფლებამფლობელისთვის;

1.7.2. გარე რეპერტუარის ობიექტების, რომლებისთვისაც მითითებულია მათი გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლები და ასეთი ობიექტებისთვის გამოვლილი ჰონორარის თანხა, ასევე სხვა ხელმისაწვდომი იდენტიფიცირებულის ნიშანი, თითოეული ასეთი ობიექტისთვის (შემსრულებლების, ავტორების და მისთ. მითითება).

1.8. განაწილების გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფორმირებული ჩამონათვალები, რომლებიც მითითებულია 1.7.1. პუნქტში, ყველა დამუშავებული ანგარიშისთვის, ერთიანობაში, ქმნის საფუძველს ჰონორარის გადახდისთვის, კონკრეტული უფლებამფლობელების სასარგებლოდ, განაწილების ამ პერიოდის დამთავრების შემდეგ.

1.9. განაწილების გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფორმირებული ჩამონათვალები, რომლებიც მითითებულია 1.7.2. პუნქტში, ყველა დამუშავებული ანგარიშისთვის, ერთიანობაში, შეადგენს მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც ასოციაცია ახორციელებს მოქმედების გარე რეპერტუარის ობიექტების იდენტიფიკაციისთვის, ჰონორარის შესაბამისი თანხების გადახდის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი უფლებამფლობელებისთვის. აღნიშნული მოქმედებების განხორციელების წესები რეგულირდება წინამდებარე წესების მე-2 ნაწილით.

1.10. ჰონორარის განაწილება, განაწილების თითოეული პერიოდისთვის, მთავრდება განაწილების შესახებ გაერთიანებული ანგარიშის ფორმირებით, რომელშიც შედის შემდეგი მონაცემები

1.10.1. უფლებამფლობელების შესახებ, რომელთა სასარგებლოდ ჩაირიცხა ჰონორარი განაწილების შედეგების მიხედვით

1.10.2. შესაბამისი უფლებამფლობელიდან თითოეული ნაწარმოებების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების შესახებ, რომელთა გამოყენების სანაცვლოდაც განაწილების შედეგად ჩარიცხულია ანაზღაურება;

1.10.3. თითოეული ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის ჯამური რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, რომელთან შესაბამისადაც ჩარიცხულია ანაზღაურება განაწილების შედეგად;

1.10.4. განაწილების შედეგებად კონკრეტული უფლებამფლობელის სასარგებლოდ დარიცხული ანაზღაურების საერთო ოდენობა;

1.10.5. უფლებამფლობელის ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის ხარჯების დასაფარი გამოქვითვების ოდენობა;

1.10.6. გარე რეპერტუარის ობიექტების და მათი შესაბამისი ჰონორარის თანხების შესახებ.

1.11. კონკრეტული უფლებამფლობელებისთვის ანაზღაურების შემდგომი გადახდების, აღრიცხვისა და ანგარიშგების, ქონებრივი უფლებების მართვის საქმიანობის ეფექტურობისათვის, განაწილების შემაჯამებელი ანგარიშის მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს ობიექტების კატეგორიის (ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლებების ობიექტები), სარგებლობის სახეები (საჯარო შესრულება, საჯარო გადაცემა და ა.შ.), უფლებამფლობელთა კატეგორიის (ავტორები, შემსრულებლები და ა.შ.), ცალკეული უფლებამფლობელთა კუთვნილების კრიტერიუმების მიხედვით, გარკვეული უფლებამფლობელთა წევრობა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციებში ან სხვა კრიტერიუმებით.

2. **გარე რეპერტუარის ობიექტების იდენტიფიკაცია**

2.1. ასოციაცია აწარმოებს, განაწილების შედეგების მიხედვით გამოვლენილი, გარე რეპერტუარის ობიექტების მონაცემების და ასეთ ობიექტებზე დარიცხული ჰონორარის თანხების დაგროვებით მუდმივ აღრიცხვას.

2.2. ასოციაცია მონაცემთა ბაზაში ახალი ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების და მათი უფლებამფლობელების შესახებ ინფორმაციის შეტანისას (რეგისტრაციისას) ხდება შედარება გარე რეპერტუარის ობიექტების შესახებ მონაცემებთან და საიდენტიფიკაციო მონაცემების დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამის ობიექტებზე ადრე დარიცხული ჰონორარის თანხები განიხილება, როგორც უფლებამფლობელების კუთვნილი ჰონორარი ახლად რეგისტრირებული ობიექტიდან. ჰონორარის გადახდას ასოციაცია ახდენს დადგენილი უფლებამფლობელების მისამართით, რაც შეიძლება მოკლე ვადაში, უფლებამფლობელებისთვის ჰონორარის გადახდის დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად.

2.3. ყოველი კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ, ექვსი თვის ვადაში, ასოციაცია ადგენს გარე რეპერტუარის იმ ობიექტების საერთო ჩამონათვალს, რომელთა უფლებამფლობელები ვერ დადგინდა, მასში შემდეგი მონაცემების შეტანით (თუ ისინი აქვს ასოციაციას):

2.3.1. ობიექტის დასახელება და კატეგორია (ნაწარმოების / ფონოგრამის ტიპი და მისთ);

2.3.2. შემსრულებლის, ავტორის, გამომცემლის ან/და იმ სხვა პირის სახელი / დასახელება, რომელსაც, სავარაუდოდ, შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი კავშირი ობიექტთან;

2.3.3. გამოყენების სფერო / კატეგორია, რომლის ფარგლებშიც გამოიყენებოდა ობიექტი;

2.3.4. სხვა ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ობიექტის იდენტიფიკაციას და მისი უფლებამლობელების დადგენას.

2.4. ჩამონათვალი, რომელიც მითითებულია წესის 2.3. პუნქტში, განთავსდება ასოციაციის ოფიციალურ საიტზე, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, გაიგზავნება ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უცხოური ორგანიზაციებში, იმ სხვა პირების და ორგანიზაციების მისამართზე, რომლებმაც, სავარაუდოდ, შეიძლება ხელი შეუწყონ ობიექტების იდენტიფიკაციას და მათი უფლებამფლობელების დადგენას.

2.5. წესის 2.4. პუნქტში მითითებული მოქმედებების გარდა, ასოციაცია ახორციელებს მუშაობას გარე რეპერტუარის ობიექტების და მათი უფლებამფლობელების შესახებ ინფორმაციის მოსაძებნად, ინტერნეტის ქსელის და სხვა ხელმისაწვდომი წყაროების გამოყენებით, ამყარებს და ავითარებს თანამშრომლობას პირებთან და ორგანიზაციებთან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ აუცილებელი ინფორმაციის მიღებას.

2.6. გარე რეპერტუარის ობიექტის უფლებამფლობელის დადგენის შემთხვევაში, ასოციაცია მიიღებს აუცილებელ ზომებს, მასთან ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელთან (გამომცემელთან, უფლებების მართვის ორგანიზაციასთან და ა.შ.) კონტაქტის დასამყარებლად, საჭირო სახელშეკრულებო ურთიერთობების გასაფორმებლად, ჰონორარის გადასახდელად.

2.7. გარე რეპერტუარის ობიექტები, რომელთა უფლებამფლობელები განისაზღვრა და რომლებისთვისაც არსებობს აუცილებელი საფუძველი და პირობები, ჰონორარის გადახდის განსახორციელებლად, სათანადოდ რეგისტრირდება ასოციაციის მონაცემთა ბაზის შემადგენლობაში და გამოირიცხება წესის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალიდან.

2.8. ჰონორარის თანხები, რომლებიც დაფიქსირებულია გარე რეპერტუარის იმ ობიექტებისთვის, რომლებიც არ იყო სათანადოდ იდენტიფიცირებული, სამი წლის განმავლობაში, იმ კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ, რომელშიც დაირიცხა შესაბამისი თანხები, განაწილების შედეგების

მიხედვით, ქმნის გაუნაწილებელი ჰონორარის თანხების შემადგენლობას. გაუნაწილებელი ჰონორარის თანხები აკუმულირდება ასოციაციის ცალკე ანგარიშზე. გაუნაწილებელი ჰონორარის თანხების განკარგვა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, ასოციაციის მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

**3. ჰონორარის განაწილების თავისებურებები ცალკეულ კატეგორიის ნაწარმოებებთან და ფონოგრამებთან მიმართებაში.**

3.1. თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების და ასევე ერთდროულად რამდენიმე შემსრულებლის მონაწილეობით განხორციელებული შესრულების შემცველი ფონოგრამების გამოყენებისთვის, ჰონორარის განაწილება ხდება რამდენიმე უფლებამფლობელს შორის, თანაბრად. ამასთან, ტექსტიანი მუსიკალური ნაწარმოებების (სიმღერების) შემთხვევაში, ჰონორარი ნაწილდება ორ თანასწორ ნაწილად, მუსიკის და ტექსტის უფლებამფლობელებს შორის, ხოლო შემდეგ (მუსიკის ან ტექსტის თანაავტორობის შემთხვევაში) - თანაბრად, შესაბამისი ნაწილის უფლებამფლობელებს შორის. აუდიოვიზუალური ნაწარმოებების შემთხვევაში, აღიარებულია ჰონორარის თანაბარი ნაწილები, რომლებიც ეკუთვნის აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორების სხვადასხვა კატეგორიებს: დამდგმელ რეჟისორს, სცენარის ავტორს, დიალოგების ავტორს, აუდიოვიზუალური ნაწარმოებსთვის სპეციალურად შექმნილი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოების ავტორს შორის. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორების ერთი კატეგორიის ფარგლებში (თუ აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის შესაბამის ნაწილში მონაწილეობდა რამდენიმე პირი), ჰონორარის წილები ასევე მიიჩნევა თანაბრად.

3.2. თანაავტორებს, ისევე როგორც თანაშემსრულებლებს, უფლება აქვთ ასოციაციისადმი მიმართული ერთობლივი განცხადებით დააწესონ მათ შორის ჰონორარის განაწილების განსხვავებული პროცედურა, რომლის გამოყენებაც დაიწყება ასოციაციის მონაცემთა ბაზაში შესაბამისი მონაცემების შეტანის შემდეგ.

3.3. წარმოებული მუსიკალური ნაწარმოების (ნაწარმოების არანჟირება, ორიგინალის ტექსტის დამუშავება და თარგმნა და ა.შ.) გამოყენების სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების განაწილება ხდება ორიგინალური და წარმოებული ნაწარმოების საავტორო უფლებებამფლობელებს შორის შეთანხმების შესაბამისად.

3.4. იმ შემთხვევაში თუ ნაწარმოების ან ფონოგრამის გამოყენების სანაცვლოდ მიღებული ჰონორარის განაწილების დროს, ასეთი ობიექტის მიმართ არ მოიპოვება სრული სარეგისტრაციო მონაცემები, თუმცა დადგენილია, რომ ასოციაცია უფლებამოსილია წარმოადგინოს თუნდაც ერთი/რამდენიმე უფლებამფლობელის ინტერესები, ასეთი ობიექტის გამოყენების სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების სრული თანხა შესაძლებელია განაწილდეს ერთი/რამდენიმე უფლებამფლობელის სასარგებლოდ, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენს ასოციაცია, ამ უფლებამფლობელებისთვის მინიჭებული ანაზღაურების წილების პროპორციულად.

**4. ფონოგრამების გამოყენებისთვის ჰონორარის განაწილების წესები.**

4.1. ფონოგრამების გამოყენებისთვის შეგროვილი ჰონორარის 50% თავდაპირველად ნაწილდება მისი მიღების მქონე უფლებამფლობელებს: შემსრულებლებს და ფონოგრამის დამამზადებლებს შორის. აღნიშნული ჰონორარის შემდგომი განაწილება ხდება კონკრეტულ უფლებამფლობელთა შორის, თითოეული აღნიშნული კატეგორიის ფარგლებში, კონკრეტული ფონოგრამების ფაქტობრივი გამოყენების პროპორციულად, პირველი ნაწილით გათვალისწინებული ალგორითმის შესაბამისად და მე-2 ნაწილით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

**5. სპექტაკლების და სხვა თეატრალურ-სანახაობრივი წარმოდგენების და ასევე კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების შემადგენლობაში ნაწარმოებების შესრულებისთვის ჰონორარის განაწილების წესები.**

5.1. სპექტაკლების და სხვა თეატრალურ-სანახაობრივი წარმოდგენების, ასევე კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების (შემდგომში - სპექტაკლების) შემადგენლობაში ნაწარმოებების საჯაროდ შესრულებასთან დაკავშირებით, შემოსული ჰონორარი ნაწილდება ცალ-ცალკე, თითოეული სპექტაკლისთვის, ჰონორარის ოდენობის შესაბამისად, რომლებიც განისაზღვრება ასოციაციის ხელშეკრულებებით შესაბამის უფლებამფლობელებთან.

5.2. განაწილებამდე დასტურდება მოსარგებლისგან კონკრეტულ სპექტაკლთან დაკავშირებით, შემოსული ჰონორარის თანხის შესაბამისობა ჰონორარის ჯამურ განაკვეთთან, ისეთ სპექტაკლთან მიმართებაში, რომელიც ერგება ყველა უფლებამფლობელს, ასოციაციასთან გაფორმებული

ხელშეკრულებების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ შემოსული თანხა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დაერიცხოს ყველა უფლებამფლობელს, წყდება საკითხი უფლებამფლობელებს შორის პროპორციულად განაწილების შესახებ, ჰონორარის არსებული თანხიდან გამომდინარე, ან შემოსული თანხის რეზერვირების შესახებ შემდგომი განაწილებისთვის, მოსარგებლისგან თანხის შემოსვლის შემდეგ, რომელიც დაფარავს არსებულ დავალიანებას.

**6. პირადი მიზნებისთვის აუდიოვიზუალური ნაწარმოებების, ფონოგრამებზე ჩაწერილი ნაწარმოებების, ფონოგრამების, ვიდეოგრამების რეპროდუცირებისთვის ჰონორარის განაწილების თავისებურებები**

6.1. ჰონორარი პირადი მიზნებისთვის აუდიოვიზუალური ნაწარმოებების, ფონოგრამებზე ჩაწერილი ნაწარმოებების, ფონოგრამების, ვიდეოგრამების რეპროდუცირებისთვის ექვემდებარება განაწილებას, ექვსი თვის ვადაში, იმ კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ, როდესაც ჰონორარი შემოვიდა ასოციაციაში.

6.2. წესის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარი განაწილდება ყველა უფლებამფლობელს შორის, რომლებსაც ასოციაცია უხდიდა ყველა სხვა ტიპის ჰონორარს, იმ ჰონორარის გარდა, რომელიც წინამდებარე ნაწილის საგანს წარმოადგენს, იმ კალენდარული წლის განმავლობაში, რომელსაც წინ უსწრებდა განაწილება.

6.3. კონკრეტული უფლებამფლობელის კუთვნილი ჰონორარის ოდენობა გამოითვლება გასანაწილებელი ჰონორარის საერთო თანხიდან, ასოციაციის მიერ ამ უფლებამფლობელის სასარგებლოდ წინა კალენდარულ წელს გადახდილი ჰონორარის საერთო თანხის პროპორციულად.

6.4. განაწილებული ჰონორარის გადახდა ხდება ასოციაციის მიერ, არაუმეტეს ცხრა თვის ვადაში, იმ კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ, როდესაც ასეთი ჰონორარი შემოვიდა ასოციაციაში.

**7. ანაზღაურების განაწილების წესები ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების მონაცემების არარსებობის შემთხვევაში.**

7.1. მომხმარებლისგან მიღებული ჰონორარის თანხა, მისი მხრიდან გამოყენებული ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების შესახებ მონაცემების მოწოდების გარეშე, ასეთი თანხის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში, ექვემდებარება ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების სტატისტიკური ხასიათის ცნობების შესაბამისად განაწილებას, თუ ასეთ მომხმარებელს და ასოციაციას შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.2. სტატისტიკური ხასიათის ცნობები, ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების თაობაზე, ფორმირდება ასოციაციის მიერ, ანაზღაურების განაწილების შესახებ მონაცემების გაერთიანებით მომხმარებლის ანგარიშების შესაბამისად, ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების შესახებ, წინა კალენდარული კვარტალისთვის ობიექტების ცალკეული კატეგორიების მიხედვით (ნაწარმოებები, შესრულება და ფონოგრამები) და ნაწარმოებებისა და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების სფეროების მიხედვით (საჯარო შესრულება, ეთერითა და კაბელით გადაცემა, სხვაგვარი საჯარო გადაცემა). სტატისტიკური ხასიათის ცნობები ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების თაობაზე, შესაძლოა მოიცავდეს ასოციაციისთვის მესამე პირების მიერ მიწოდებული ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების მონიტორინგის ცნობებს იმ სფეროებში, რომლებშიც ასოციაცია ახორციელებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ მართვას.

7.3. ჰონორარის განაწილებისთვის გამოყენებული სტატისტიკური ხასიათის ცნობები ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების შესახებ, უნდა იყოს გაერთიანებული ობიექტების კატეგორიების, გამოყენების ფორმებისა და ხერხების მიხედვით და ასევე, მათი გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ექსტრაპოლაციის შესაძლებლობა, მომხმარებლის მიერ ანგარიშის წარდგენის გარე მიღებული ანაზღაურების შესაბამისი ოდენობების განაწილებისას.

7.4. მომხმარებლის მიერ ანგარიშის მიწოდების გარე მიღებული ანაზღაურების კონკრეტული ოდენობის განაწილების მიზნით, გამოიყენება ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების შესახებ სტატისტიკური ცნობების ის ნაწილი, რომელიც აერთიანებს ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების ასოციაციისთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა უახლოეს დროის მოცულობას, გამოყენების ფორმისა და ხერხის მიხედვით, რომლითაც უნდა გადანაწილდეს ანაზღაურება.

7.5. კონკრეტული უფლებამფლობელის ჰონორარის გამოთვლა ხდება ალგორითმით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ნაწილით, ზოგადად გამოყენებადია გასანაწილებელი პერიოდის

ჩარიცხული ჰონორარზე და წინასწარ დაჯგუფებული გამოყენების ფორმის/მეთოდის ერთიანობის კრიტერიუმით, ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების მიხედვით.

**8. ჰონორარის განაწილებული თანხების გადახდის წესები.**

8.1. ასოციაცია უხდის უფლებამფლობელებს ჰონორარს, ჩატარებული განაწილების შედეგების შესაბამისად, იმ ფულადი თანხებიდან გამომდინარე, რომლებიც დაირიცხა კონკრეტული უფლებამფლობელების სასარგებლოდ, იმ თვის მომდევნო კალენდარული თვის განმავლობაში, როდესაც ჩატარდა ჰონორარის განაწილება და გაფორმდა მისი შედეგები, თუ გადახდის სხვა პერიოდულობა არ არის დადგენილი წინამდებარე წესებით ან ასოციაციის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით.

8.2. ჰონორარის გადახდა, იმ უფლებამფლობელების სასარგებლოდ, რომელთა ქონებრივი უფლების მართვასაც ახორციელებს ასოციაცია, სხვა ორგანიზაციასთან ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხდება ასეთი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.3. უფლებამფლობელთან ან შეაბამისი უფლებამფლობელის ინტერესების წარმომადგენელ ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ასოციაცია ახორციელებს იმ თანხების დაკავებას რომელიც საჭიროა, უფლებამფლობელის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ მართვაზე გაწეული მისი ხარჯების დასაფარად, ასევე აკავებს იმ თანხებს, რომლებიც ექვემდებარება ასოციაციის მიერ შექმნილ მიზნობრივ ფონდებში გადარიცხვას.

8.4. უფლებამფლობელებისთვის ჰონორარის გადახდა ხორციელდება ასოციაციას მიერ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მათ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.

8.5. კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ასოციაცია ასრულებს საგადასახადო აგენტის ფუნქციას და დააკავებს აუცილებელ საგადასახადო დავალებებს ფულადი თანხებიდან, რომლებიც ექვემდებარება უფლებამფლობელებისთვის გადახდას და შემდგომ გადარიცხავს მათ ბიუჯეტში.

8.6. ასოციაციამ შეიძლება დაადგინოს ჰონორარის მინიმალური ლიმიტები, რაც მცირე მნიშვნელობის გამო, არ ექვემდებარება გადახდას. ჰონორარის ასეთი მცირე თანხები აღირიცხება და აკუმულირდება ასოციაციის მიერ, კონკრეტული უფლებამფლობელების სასარგებლოდ და ჩვეულებრივი წესით გაიცემა ასეთ უფლებამფლობელებზე, დადგენილი მინიმალური ლიმიტების გადაჭარბების შემდეგ.

8.7. უფლებამფლობელის მისამართით გადახდის განხორციელებისას, ასოციაცია, ავტომატიზირებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის მეშვეობით, უფლებამფლობელს წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას:

8.7.1. უფლებამფლობელისთვის დარიცხული ჰონორარის თანხა, განაწილების შედეგების საფუძველზე, ქონებრივი უფლებების კატეგორიებად და ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების ტიპებად დაყოფის მიხედვით;

8.7.2. დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გამოიყენებოდა ნაწარმოებები ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტები, რომლებისთვისაც უფლებამფლობელს უხდიან ჰონორარს;

8.7.3. გადარიცხვების თანხა, რომელიც დააკავა ასოციაციამ, ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის განხორციელების ხარჯების დასაფარად;

8.7.4. ასოციაციის მიერ დაკავებული თანხა, რომელსაც ის გადაიტანს მის მიერ შექმნილ მიზნობრივ ფონდებში;

8.7.5. ჰონორარის თანხა, რომელიც ექვემდებარება უფლებამფლობელისთვის გადარიცხვას;

8.7.6. ჰონორარის თანხა, რომელიც დაირიცხა უფლებამფლობელის სასარგებლოდ, მაგრამ არ ექვემდებარება გადარიცხვას, არ გადახდის მიზეზის მითითებით.

8.8. ქონებრივი უფლებების მმართველი სხვა ორგანიზაციის მისამართით ჰონორარის გადახდისას, უფლებამფლობელების სასარგებლოდ, რომლებსაც ასეთი ორგანიზაცია წარმოადგენს, თუმცა, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ასოციაცია უგზავნის ორგანიზაციას შემდეგ ინფორმაციას:

8.8.1. ჰონორარის თანხები, განკუთვნილი უფლებამფლობელებისთვის, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენს ორგანიზაცია, დაყოფილი ქონებრივი უფლებების კატეგორიების და ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების ტიპების მიხედვით;

8.8.2. დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გამოიყენებოდა ნაწარმოებები ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტები, რომლებისთვისაც უფლებამფლობელს უხდიან ჰონორარს;

8.8.3. გადარიცხვების თანხა, რომელიც დააკავა ასოციაციამ, ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის განხორციელების ხარჯების დასაფარად;

8.8.4. ასოციაციის მიერ დაკავებული თანხა, რომელსაც ის გადაიტანს მის მიერ შექმნილ მიზნობრივ ფონდებში;

8.8.5. მონაცემები ლიცენზიების შესახებ, რომლებიც გაიცემა მოსარგებლეებზე, რომლის შესაბამისადაც შეგროვდა ჰონორარი, ასევე მოსარგებლეების შესახებ, რომლებსაც უარი ეთქვათ ლიცენზიის გაცემაზე;

8.8.6. მონაცემები ასოციაციის მმართველი ორგანოების მიერ ქონებრივი უფლებების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.